დროება

ყოველდღიური-საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 83 ოთხშაბათი, 14 აპრილი 1910 წ. № 83

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ხუთშაბათს, 15 აპრილს,

ვასილ ალექსანდრეს ძის სულხანიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე, განსვენებულის საფლავზე (კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაო), დილის 11½ საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დედა შვილებითურთ და ქვრივი ქალითურთ.

(1—243—1)

ლავრენტი და ეფროსინე აგლაძენი შვილებითურთ და მიხეილ ტებენკოვი, დარდით მოკლულნი, უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ 12 აპრილს შულავერში მოულოდნელად გარდაცვალებას. პირველნი—საყვარელი ქალის, ხოლო უკანასკნელი—დაუვიწყარ მეუღლის

თამარ ლავრენტის ასულის ტებენკოვისას.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—6.—1)

ალათი, ოლინკა, მინადორა, მარია, მელანა, კატო, ერმალო ჯუმბურიძე, ფარნაოზ ქელბაქიანი, სამსონ ჭირაქაძე და ეგნატე გაწერელია გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ოდესის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტის, მატემატიკის

გრიგოლ დიმიტრის ძის იობაშვილისას.

გამოსვენება დანიშნულია 13 აპრილს, ნაშუადღევის სამ საათზე, საკუთარ სახლიდან, ქუთაისი, ოლდენბურსკის ქუჩა, სახლი № 21.

(1—ფ.—1)

აზნაური ქვრივი ივანე ფირანის ძე რევაზიშვილი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობებს გარდაცვალებას ძვირფასი მეუღლის

ევდუკი გვირიას ასული
რევაზიშვილისას

უმორჩილესათ სთხოვს მობრძანდნენ და ანუგეშინ ღრმა მწუხარებასა შინა მყოფი ჭირისუფალნი. ცხედრის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 15 ამა აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე კაცხის წმინდა ნინოს ეკლესიაზე.

(I—გარ.—1)

უმამულო ხალხის
საყურადღებოდ

შესდგა ჯგუფი, რომელსაც სურს შეიძინოს დასასახლებელი მამული. საჭიროა 100—200 კაცამდე. მამული არის რკინის გზის სადგურის მახლობლად, ტფილისიდან 70 ვერსის მანძილზე, ჰავა საავგარაკოა, ადგილი ზომით 1400 დესიატინაა. სამოსახლოში შენობაც არის. საბალახე და საძოვარი შეიცავს 156 დესეტინას, ხილის ბაღი და ვენახი 35 დესეტ., სახნავი საუკეთესო შავი მიწა—756 დესეტ.: ხელუხლები ტყე, შენობისთვის გამოსადეგი, მდინარის ნაპირას—188 დესეტ. არის მდინარეები და საუცხოვო სასმელი წყაროები.

ფასი დესეტინაზე 40 მანეთი. 40 კაცი უკვე ჩაეწერა. ვისაც სურს ამ ადგილებში დასახლება, დააჩქაროს პირობების გაგება. მსურველმა უნდა მიმართოს იაკობ სირაძეს, ტფილისის საქონლის სადგურზე, მუშათა არტელში.

(4—6.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის,
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყო- [illegible] 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
ბურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
კორწინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
მუსხელიშვილი გ ს. თვალის, ორშ.. ოთხშ და პარასკ. 2 2-ნახ. ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე [illegible]
პოპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
ხოხოლევსკი ვ. მ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით.

(200—6.—156)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. **გაზაყმძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
ი. **გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
გ. **ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა,
ბ. **ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
ე. **გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაცია და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—319)

ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი
ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჰლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—48)

ექიმი ქუთაისში
კ. თ. ტყემელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—19)

ექიმი კბილისა ქუთაისში
ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოტრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—412)

ექიმი კბილისა ქუთაისში
ა. ა. ბუტულოვისა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—22

ექიმი შ. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაზენოვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—72)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—106

ექიმი ვასილ წერეთელი
ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—162)

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

საკანდიტერო
და
საგულკე
ა. ი. ალიხანოვისა

ვორონცოვის მოედ. ფირმა არსებობს 1879 წლიდან.

ფირმას პატივი აქვს აუწყოს პატივცემულ საზოგადოებას, რომ წინა წლებისამებრ წელსაც **წმ. აღდგომის** დღესასწაულებისთვის საკანდიტეროში მრავლად მზადდება: **პასკები, კულიჩები, მაზურიკები, ყველის პასკები, ტორტები** და ყოველგვარი საკანდიტერო ნაწარმოები.

რათა მუშტარი დარწმუნდეს, რომ ჩვენ საკანდიტეროში კარგი საქონელია, 12 აპრილიდან არის ნიმუშები ყოველგვარ პასკებისა.

პატივისცემით **ი. ა. ალიხანოვი.**

1—ხალ.—1

ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—45

ექიმი კბილისა
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

პასკებისათვის საუკეთესო ღირსების გამომშრალი

ფქვილი,

კარგი რომი წვრილი ფლაკონებით, ვანილი, ზაფრანა და კარინკა (შავი წვრილი ქიშმიშია პასკებისთვის) შეიძლება მიიღოთ **მ. ნაზარბეგოვის** საწყობში, სასახლის ქუჩაზე.

1—245—1

ქუთაისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ მდგომარე 1910 წლის 28 აპრილს, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეკრება იმ პირთა, რომელთაც სურთ იკისრონ ქალაქის გეგმის (პლანის) შედგენა. პირობების გაცნობა და სხვა საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდი, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (5—6.—4)

1910 წლის 18 აპრილიდან ტფილისში გამოვა ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

—◆ გაზეთი ◆—

„მოგზაური"

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: ბ. ახოსპირელი, ბესოშვილი, ნ. ელიავა, ვიქტორი, თაგუნა, თურდოსპირელი, რ. კალაძე, კ. კანდელაკი, ლალიონი, რ. ლეჩხუმელი, ვ. მალაქიაშვილი, ნატო, მ. სხვაველი, გ. ქუჩიშვილი, ყარიბი, ს. შაუმიანი, შვარცი, კ. ჯაფარიძე და სხ.

გაზეთის ფასი: წლიურად—5 მან., 6 თვით—3 მან., 1 თვით—50 კაპ., ცალკე ნომერი—10 კაპ.

რედაქციის კანტორა დროებით მოთავსებულია ბ. კილაძის სტამბაში, ველიამინოვის ქ., № 4. (ქალაქის ლომბარდის პირდაპირ).

ყოველგვარი წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, типографія Б. Киладзе, Веляминовская, 4. Соломону Евстафіевичу Телія.

რედაქტორ-გამომცემელი ქ. ფ. მგელაძე. (3—2)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, ამა აპრილის 14-სა, ანდრეევის ქუჩაზე, სახლ. № 22, დანიშნულია

საჯარო გაყიდვა

სხვა და სხვა საოჯახო ნივთებისა.

ვაჭრობა დაიწყება დილის 10 ს.

(2—2)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 აპრილი.

საზღვარ-გარედ.

პარიზი. პარიზში არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარეს. შამბონსა და ფუჟეროლში (ლუარის დეპარტამენტი) არეულობა მოხდა. ცეცხლი წაუკიდეს ქალაქის თვითმმართველობის სადგომს, დასჭრეს ხუთი ჟანდარმი. ჯერ-ჯერობით მომხდარი არჩევნები არ გვიჩვენებენ, რომ პოლიტიკური მდგომარეობა შეცვლილიყოს. გამოქვეყნდა 196 ოლქის არჩევნების შედეგი. რეაქციონერებმა დაჰკარგეს 1, ნაციონალისტებმა 4 ადგილი, მემარცხენე რესპუბლიკანელებმა მოიგეს 5, რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა 3, დამოუკიდებელმა სოციალისტებმა 1, შეერთებულმა სოციალისტებმა 1 ადგილი. ლიონში გაიმარჯვა რადიკალმა ბერლიომ, სოციალისტი პრესსანსე გაიშავეს. ბრიანი 9600 ხმის უმეტესობით აირჩიეს.

ბერლინი. ვოლფის სააგენტოს ჩიკაგოდან დეპეშით ატყობინებენ: ჩრდილოეთ ამერიკის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში ქარიშხალმა ნათესი გააფუჭა. ზარალი 60 მილიონ მანეთს უდრისო.

პარიზი. პრესსა აღნიშნავს, რომ არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარეს და არჩევნებში წინანდელზე უფრო მეტმა ამომრჩევლებმა მიიღო მონაწილეობაო. პრესსის აზრით პოლიტიკური მდგომარეობა არ შეიცვლება. პირველი არჩევნების შედეგიდან სჩანს, რომ საეკლესიო მამულების ლიკვიდაციის გამო გამოწვეულმა სკანდალმა და დეპუტატთა ჯამაგირების მომატებამ არჩევნებზე გავლენა არ იქონიეს. საფრანგეთი საარჩევნო სისტემის შეცვლის მომხრე აღმოჩნდა, რაიც იქიდან სჩანს, რომ საარჩევნო სისტემის რეფორმის მომხრეებმა თითქმის ყველგან გაიმარჯვეს.

ვენა. ზედა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი, რომლითაც მთავრობას ნება ეძლევა სესხად აიღოს 220 მილიონ კრონი.

პარიზი. სულ აირჩიეს 549 დეპუტატი. აქედან 53 რესპუბლიკანელნი, 14 რადიკალ-სოციალისტი, 10 დამოუკიდებელი და 29 შეერთებული სოციალისტი, 36 პროგრესისტი, 12 ნაციონალისტი, 47 კონსერვატორი და 218 ლიბერალი. რესპუბლიკანელებმა მოიგეს 11, შეერთებულმა სოციალისტებმა 6, კონსერვატორებმა და ლიბერალებმა 5, ნაციონალისტებმა 1, პროგრესისტებმა 10 ადგილი. რესპუბლიკანელებმა დაჰკარგეს 2, დამოუკიდებელმა სოციალისტებმა 1, შეერთებულმა სოციალისტებმა 4, კონსერვატორებმა და ლიბერალებმა 8, ნაციონალისტებმა 2, პროგრესისტებმა 9 ადგილი.

პარიზი. შინაგან საქმეთა სამინისტროს უკანასკნელ გამოანგარიშებით რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა დაჰკარგეს 2, რეაქციონერებმა 3, პროგრესისტებმა 1 ადგილი. შეერთებულმა სოციალისტებმა მოიგეს 3, მემარცხენე რესპუბლიკელებმა 8, ნაციონალისტებმა 1 ადგილი. ექვსი ადგილის გარდა, არჩევნების შედეგი გამორკვეულია. გარდა მილიერანისა, აირჩიეს ყველა მინისტრები. მილიერანს ხელმეორედ უყრიან კენჭს.

ბერლინი. პროფესიონალურ კავშირის დელეგატების საგანგებო კრებამ თანაგრძნობა გამოუცხადა საამშენებლო მრეწველობის გაფიცულ მუშებს. კრებაში მონაწილეობას იღებდნენ 2 მილიონი მუშის წარმომადგენლები, სულ 422 კაცი.

სპარსეთი

არდებილი. შახსევენის თემის ემირი ხალხალცე უომროდ დანებდა არდებილის გუბერნატორს რეშიდ-ულ-მულკს, რომელიც ეფრემის რაზმს თან დასდევდა. ხმა დადის, რომ იურჩანის ნასრულა-ხანი ხოჯაბეკლინების მთებში გაიქცაო. ხვალ, არდებილში ელიან ეფრემის რაზმს.

ურმია. აქ აუტანელი მდგომარეობაა. სპარსეთის მთავრობა მხოლოდ სახელით არსებობს და არაფერს აკეთებს. ოსმალეთის ჯარის უფროსები, რომლებმაც ურმიის ოლქის სხვა და სხვა ნაწილები დაიჭირეს, სულ არ ზრუნავენ წესიერების აღდგენასა და დაცვაზე. ადგილობრივი მაჰმადიანები აშკარად მტრობენ ქრისტიანებს და ნამეტნავად მართლ-მადიდებელ სირიელებს. მემამულეები საშინლად სტანჯავენ თავიანთ ქრისტიან ყმებს. ქურთები ღამ-ღამობით აოხრებენ ქრისტიანთა სოფლებს, მიჰყავთ ტყვედ ქალი და კაცი და ძალით მაჰმადიანის რჯულს აღებინებენ. ამ სამი კვირის წინად მოიტაცეს ქრისტიანი ახალგაზდა ქალი და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კონსულმა პროტესტი განაცხადა, ჯერაც არ დაუბრუნებიათ. რუსეთის სასულიერო საელჩოში ყოველ დღე აყარებული ქრისტიანები მოდიან და დახმარებას თხოულობენ. თუ რუსეთ. ინგლისი საქმეში არ ჩაერივნენ, ისე ძნელია წესიერების აღდგენა.

არეულობა ალბანეთში

სალონიკი. ჯარის ოთხი ბატალიონი, რომელიც პოლკოვნიკ შეფკეთ-ბეის უფროსობით პრიზრენისკენ გაიგზავნა, ტირნელოვოს ახლო ჩასაფრებულ ალბანელებს წააწყდა. ომმა მთელი ღამე გასტანა და დილით განახლდა. ომის შედეგი გამორკვეული არ არის. გაფუჭებულია ფერიზოვიჩი პრიზრენის ტელეგრაფი. ფერიზოვიჩში სალონიკიდან საჩქარო მატარებლებით გაიგზავნა ორი ბატალიონი.

ჰაერში ფრენა

იტენბერგი. ჰაეროსტატი „ცეპელინ მეორე" ჩამოვარდნის დროს შუაზე გადაიმტვრა. ნაწილი ხეზე ჩამოეკიდა.

ლონდონი. ფარნამოორის ახლო გამოსცადეს სამხედრო დირიჟაბლი. დიდი ქარის გამო დირიჟაბლი ჩამოვარდა და დაიმტვრა.

ნიცცა. ლატამი ნიცცადან ზღვით ორჯერ გაფრინდა ანტიბში და უკან დაბრუნდა. მესამე გადაფრენის დროს ჰაეროპლანის მოტორი გაფუჭდა და ამის გამო ლატამი ზღვაში ჩავარდა. იგი გადაარჩინეს.

ლიმბურგი. დირიჟაბლი „ცეპელინ მეორე" აეშვა ღუზედან და ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ გაფრინდა. ნახევარ საათის შემდეგ დირიჟაბლი ვეილბურგის ახლო ჩამოვარდა. დირიჟაბლი სულ ერთიანად გაფუჭებულია.

ფინლიანდია

ჰელსინგფორსი. სექციამ უკვე შეიმუშავა თუ რა პასუხი უნდა გასცეს ცენტრალურ მთავრობას, რომელმაც სეიმს თავის აზრის გამოსათქმელად გადასცა კანონ-პროექტი იმპერიის საერთო კანონმდებლობის შესახებ. ძირითად კანონების კომისია უკვე შეუდგა სექციის მიერ შემუშავებულ პასუხის განხილვას.

სასამართლო შეუდგა ჰელსინგფორსის, აბოს, ვიბორგის, ნიკოლაისტადის და სხვა ქალაქების იარაღის მაღაზიების მეპატრონეთა საქმის განხილვას. მათ უჩივის სადამოჟნო უწყება, ფინლიანდიაში საიდუმლოდ შემოიტანეს იარაღიო.

რუსეთი

ვილნო. ოლქის სასამართლომ გაარჩია გაზეთ „ნოვაია რუსის" რედაქტორის, ზაიანჩკოვსკის და იმავე გაზეთის კორესპონდენტის, ვრუცევიჩის საქმე. უჩიოდა გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მოხელე სერგეევსკი, გაზეთში ცილი დამწამესო. სასამართლომ ორთავეს სამი კვირით დაპატიმრება მიუსაჯა.

პეტერბურგი. „ოსვედომიტელნოე ბიუროს" სიტყვით ტყუილია ის ხმა, ვითომ მთავრობას განზრახვა ჰქონდეს დონის პოლიტეხნიკუმი ნოვოჩერკასსკიდან სხვაგან გადაიტანოს.

მოსკოვი. მიძინების ტაძარში ქურდის ჩვენებით სასამართლოს მოხელეებმა იპოვეს ორი ძვირფასი ბეჭედი. ამ ჟამად ყველა ძვირფასი სამკაულები ნაპოვნია.

რიგა. უცნობებმა გაძარცვეს ლიუტერანთა ეკლესია.

იაროსლავლი. როსტოვის მაზრაში დაიწვა გენერალ შავლოვის ტყის სახერხავი ქარხანა. ზარალი 80 ათას მანეთს უდრის.

მინსკი. დააპატიმრეს ვინმე ბერგმანი, რომელიც ექიმი სლონიმსკი აღმოჩნდა. სლონიმსკიმ ოთხი წლის წინად პეტერბურგში სახელმწიფო ბანკიდან, გრაფ ტოლსტოის მოურავის სტოკოლდოვის სახელით გამოიტანა 1,600 ათასი მანეთი და შემდეგ გაიქცა სულით ავადმყოფთა საავადმყოფოდან, სადაც იგი გამოსაცდელად მოათავსეს. სლონიმსკისთან ერთად პოლიციამ აღმოაჩინა რამდენიმე კაცისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მინსკში ჩამოსულიყო და განზრახვა ჰქონდა ყალბის დოკუმენტებით სახელმწიფო დაწესებულებიდან ფული გამოეტანა.

სოფლად

ქსნის ხეობა.

ქსნის ხეობაში ორი სოფელია— ოძისი და ახალგორი, რომელთაც უფრო თვალსაჩინო ცენტრალური ადგილი უჭირავთ. ორივე სოფელი ადმინისტრატიულად ირიცხება ახალგორის სოფლის საზოგადოებაში, რომელიც აერთებს 46 სოფელს. 1907 წლის კამერალურ აღწერილობით ახალგორის საზოგადოებაში შედიან შემდეგი სოფლები.

1. გუდაწვერი—16 კომლი, 2. არმაზი—23 კომ., 3. ზემო ბოლი—10 კომლი, 4. ქვემო ბოლი—21 კომლი, 5. მახზედანი—17 კომლი, 6 ერედი—19 კომლი, 8. ოძისი—90 კომ., 9. ფანჩვეთი—83 კომ., 10. იკოთი—106 კომ., 11. ჩაბა-ბაჯაკური—19 კომ., 12. ქვემო ალევი—37 კომ., 13. კორინთა—9 კომ., 14. ქურთა—41 კომ., 15. ზემო ალევი—42 კომლი.

ამ თხუთმეტ სოფელში სულ 540 კომლი სცხოვრობს და ყველანი ქართველები არიან.

1. გორგაშენი—25 კომ., 2. ვესფი—15 კომ., 3. ჭანდრი—10 კომ., 4. წიფლის-წყარო—13 კომ., 5. ზვარეთი—14 კომ., 6. ჰაშა—19 კომ., 7. ახალდაბა—8 კომ., 8. ახალ-სოფელი—2 კომ., 9. კოდა—3 კომ., 10. პუჭუნარი—4 კომლი, 11. სოფა—14 კომ., 12. გდუ—17 კომ., 13. ნაღულევი—11 კომ., 14. ციხის სოფელი—15 კომლი, 15. ყვავის ჯვარი—7 კომლი, 16. ბუა—1 კომ., 17. მონასტერი—13 კომლი, 18. ბოსელთა—9 კომლი, 19. მამულაანთ კარი—8 კომ., 20. ციხის-მზვარი—14 კომლი, 21. წინუბანი—12 კომლი, 22. ზედა-ვაკე—4 კომ., 23. საძაგლეთი—3 კომ., 24. კატარაული—7 კომ., 25. ვაშლოვანი—21 კომ.

ამ 25 სოფელსა თუ მოსახლე ადგილში 266 კომლია და ყველა თითქმის ოსია.

1. ბეჟაანთ-ტყე—24 კომლი, 2. გრუ—25 კომ., 3. ძეგლევი—34 კომ., 4. ლომის-ხევი—19 კომ., 5. წირქოლი—51 კომ. ამ ხუთ სოფელში 154 კომლი სცხოვრობს ნახევარზე მეტი ქართველია, ხოლო ცოტა ნაკლები ოსი.

თვით ახალგორში 100 კომ. სომეხი და ქართველი სცხოვრობს. უფრო მეტი წილი სომხობაა.

ყველა ეს სოფლები ახალგორისა და ოძისის გარშემოა გაშენებული, სულ 2 დან 15 ვერსის მანძილზე, ირგვლივ. ახალგორი გაშენებულია მდინარე ქსნის მარცხენა ნაპირზე; დაფენილია ვენახებით და ბაღებით. გარეგანი შეხედულობით ეს სოფელი ლამაზია და მდიდარი. სოფლის შესავალშივე ადამიანი ჰხედავს სოფლის სკოლის დიდ შენობას, რომელიც აგებულია თავ. ნიკოლოზ ერისთავის მეცადინეობით. დღეს ეს შენობა ცარიელია, ფანჯრებ ჩამტვრეული, კრამიტ აძრილი. შენობის სანახაობა იმით უფრო სამწუხაროა, რომ იგი ადამიანის ხელითაა განადგურებული. მერე ვისი ფულით იყო ეს ცოდნის ტაძარი აგებული? ახლო-მახლო სოფლების გლეხობა არაფერსა ზოგავდა სკოლისათვის. თვითეული გლეხი 2 მ. იხდიდა შენობის ასაგებად. თითონ მემამულეს ნ. ერისთავს ქართველ გლეხებთან ერთად უხვი წვლილი შეუტანია ამ სკოლის შენობის ასაგებად. ააგეს კიდეც მშვენიერი შენობა, მაგრამ ვიღაც ბოროტმა ადამიანებმა გაანადგურეს შენობა და აი, დღემდის ახალგორი უსკოლოდ არის. ნება უნებლიედ გებადება კითხვა—ვინ იყო ის თავზე ხელ-აღებული, რომ ეს საქმე ჩაიდინა, ან რა იყო მიზეზი სკოლის განადგურებისა. გარკვევით ვერავინ ვერაფერს ამბობს. მხოლოდ მიზეზად ისევ იმ ეტნოგრაფიულ მრავალფეროვანობას ასახელებს, რომელსაც ეს სოფელი წარმოადგენს. სომხობა დაინტერესებული არ არის ქართულ სკოლაში. თავიანთ შვილებს ჰგზავნიან დუშეთსა, გორსა და ტფილისში. სკოლის ხარჯის გადახდა ზედმეტ ტვირთად აწვებოდა სომხობას და ამიტომაც არის, რომ სკოლის გახსნას დიდს წინააღმდეგობას უწევენ. ოსობა კულტურულად დაბალ საფეხურზე სდგას, მერე კიდევ გაფანტულად სცხოვრობენ მთა ადგილებში. სკოლის საჭიროებას ქართველი გლეხები ყველაზე მწვავედა ჰგრძნობენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხელს არ ანძრევენ.

უსკოლობაა მიზეზი, რომ ქართველების სოფლები საშინელის იბნელით არიან მოცულნი. ეს სიბნელეა, რომლითაც ახალგორი ასე მოხერხებულად სარგებლობს და ეკონომიურად ბატონობს მთელ ქსნის ხეობის მცხოვრებლებზე. დუშეთის მაზრაში ახალგორს არა ჰყავს მეტოქე, რომელიც დაინტერესებული იყოს ეკონომიურ ძლიერებით სასწორის თავის სასარგებლოდ გადახრაში. ქსნის ხეობის ჩრდილოეთ მთელ მატყლს ახალგირო ჰკრებს. წარმოუდგენელ პროცენტებს იღებენ ახალგორელი ვაჭრები, იკვეთენ პურს, ღვინოს, ხილს, ფულ 30% —50% ავალებენ და ხან ამაზე მეტსაც იღებენ. გარდა მუხრანის ახლო მახლო ადგილებისა, მთელ ქსნის ხეობაში ვერ იპოვნით იმისთანა მოსახლეს, რომ ახალგორელ ვაჭრის ვალში არ ემართოს. მარტო მარილი რა სარგებლობას აძლევს ახალგორელებს. საქონლის მომშენებლისათვის მარილი მეტად საჭიროა და აი, ახალგორელებიც აქ იჩენენ მეტს გამჭრიახობას ჟუილების ტყავის გასაძრობად. ახალგორელი კმაყოფილობასა და განცხრომაშია, გლეხი კი გულდათუთქული შეჰყურებს იმ ქსელს, რომელშიაც გაბმულია. ახალგორელების მყვლეფელობა ცნობილია ქსნის ხეობის გარედაც. საჭიროა ბრძოლა დამამცირებელ მყვლეფელობასთან. საჭიროა თვით გლეხობაში დაარსდეს ისეთი ეკონომიური ორგანიზაციები, რომელნიც დაეხმარებიან მათ და გაანთავისუფლებენ აუტანელ ყვლეფისაგან.

სოფელი ოძისი 8 ვერსით არის დაშორებული ახალგორზე. ისიც მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. უნდა აღვნიშნო, რომ ოძისის გლეხობა შეგნებულია: დაარსა ერთ კლასიანი სამინისტროს სკოლა, სადაც დღეს 45 ბავშვი სწავლობს. ამ სკოლის მეოხებით ოძისს დაუკავშირდნენ სხვა ახლო-მახლო სოფლებიც—ბავშვებს აბარებენ ოძისის სკოლაში. ისეთი დიდი მოთხოვნილებაა სკოლისა, რომ ოძისის სკოლა ვერ იტევს ყველა მთხოვნელს. სკოლის გარეშე დიდძალი ბავშვია დარჩენილი. ოძისი ჰგრძნობს, რომ სკოლის გაფართოებაა საჭირო და ამიტომ გადასწყვიტეს, ააგონ საკუთარი შენობა და ერთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასიანად გადააკეთონ. ოძისშივე არის სამეურნეო სკოლა. მებაღემ ჩოლოყაშვილმა მოაწყო მიწის მუშათა სკოლა ორი წლის კურსით. თეორიულად და უფრო პრაქტიკულად ასწავლიან მუშებს მიწის მუშაობას. სწავლა სამშობლო ენაზეა. სამწუხაროდ ხაზინა ნაკლებ დახმარებას აძლევს ამ სკოლას.

როგორც მკითხველებმაც იციან, ოძისში არსდება წვრილი კრედიტის საზოგადოება. ოძისთან ერთად ამ საზოგადოებაში შევლენ 8 ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნიც. თუ ასე წავიდა საქმე, თავის დროზე ოძისი დიდ კულტურულ ცენტრად გადაიქცევა. **დ. ქახელი.**

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ბანკის გაცარცვის გამო.** კავკ. სამხედრო სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი ალექსანდროპოლის საურთიერთო ბანკის გაცარცვის საქმის შესახებ. სამართალში მიცემული იყო 12 კაცი და ორი ქალი, სულ სომხები, სასამართლომ ხუთი კაცი გაამართლა, ხოლო 9 დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა: ჩამოხრჩობა—ერვამ მარტიროსიანცს, პოლოს საფარიანცს, ვაგარშაკ ეღოიანცს, ნერსეს არუთინოვს და აკოფ მიკირტიჩევს; 15 წლით კატორღა—სურენ ხანანუშევს, ოჰანეს ბეკ-გევორქოვს და სმუტ ჰატრიკიანცს. ამის გარდა სასამართლომ დაადგინა, პირველ ექვს დამნაშავეს გადახდეს 26,000 მანეთი.

◆ **ექსკურსია უფლის ციხეში.** პატარა ჯგუფი, რომელიც აპირობს ექსკურსიას, ბ-ნ მოსე ჯანაშვილის ხელმძღვანელობით, ტფილისის სადგურიდან გავა ორშაბათს, 19 აპრილს, დილის მატარებლით (8 ს. 28 წ.) უფლის ციხის „ჩაჭრილიდან" გაუდგებიან გზას უფლის ციხეში (მანძილი 2 ვერსია). იქ დაათვალიერებენ ძველ ნაშთებს და შუადღის პირველ საათზე წავლენ ფეხით გორში გზატკეცილზე (მანძილი 10 ვერსამდეა). გორში დაათვალიერებენ შესანიშნავ ადგილებს. საღამოს 5 ს. 31 წ. დაბრუნდებიან ტფილისში და ჩამოვლენ საღამოს 8 ს. 8 წ. მსურველს შეუძლიან ჩაეწეროს წ.-კითხ. საზოგადოებაში ბ-ნ ი. ავალიშვილთან, არა უგვიანეს 16 აპრილის (წითელ პარასკ.) საღამოს 7 საათისა.

◆ **დამტკიცება.** ტფ. გუბერნატორმა დაამტკიცა ქალაქის უძრავ ქონებათა დამფასებლების თანამდებობაზე ვ. ი. რცხილაძე, ლ. ფ. ტიგრანოვი და ს. ა. გალსტიანი.

◆ **ტყუილი ამბავი.** ამ ორი დღის წინად „ზაკავკაზიე"-ში დაიბეჭდა წერილი ქუთათურ ექიმის სიმონ ხეჩინოვის გარდაცვალების შესახებ. ეს ამბავი ხსენებული გაზეთიდან ჩვენც გადმოვბეჭდეთ. როგორც ეხლა „ზაკავ." აცხადებს, ვიღაც ავსა და ბოროტ სულს რედაქცია შეცდომაში შეუყვანია და ამისთვის წერილის ქვეშ განგებ მოუწერია ექიმი ტერ-ტეროვიო, ვითომ მას გაეგზავნოს წერილი. ექიმი ხეჩინოვი კარგად და ჯანმრთელად არის თურმე. საკვირველია, რომ მოიპოვებიან ისეთი ვაჟბატონები, რომელნიც ასეთის „მასხარაობით" ირთობენ თავს!..

◆ **ჟურნალისტთა სასამართლო.** ორშაბათს, 12 აპრილს, მოხდა ჟურნალისტთა სასამართლოს წევრთა სხდომა, რომელზედაც ბრალდებულ ჟურნალისტებს ვლ. ნაგურსკისა და ლ. ყიფიანს თავიანთი დამცველნი უნდა მოეყვანათ. ჟურნალისტებმა დამცველნი არ მოიყვანეს, ხოლო ლ. ყიფიანი სხდომაზე სულ არ გამოცხადებულა. ამიტომ სასამართლომ დაადგინა, ბრალდებულთ ვადა მისცეს დამცველთა მოსაყვანად 15 აპრილამდე.

◆ **განთავისუფლება.** მეტეხის ციხიდან განთავისუფლეს გიორგი როსტომოვი, რომელიც დაპატიმრებული იყო ეგრედ წოდებულ „ცხინვალის რესპუბლიკის" გამო. როსტომოვი არჩეული იყო ტუსაღების მიერ სანოვაგის მყიდველად და საჭმლის დამზადებისა და განაწილების ზედამხედველად. როგორც მუყაიისა და ტუსაღების სასარგებლოდ მომუშავეს, მეტეხის საპატიმროში მყოფმა პოლიტიკურმა ტუსაღებმა მოაგროვეს ფული და ოქროს საათი უყიდეს სამახსოვროდ.

◆ **ბათუმის შუამდგომლობა.** უკვე ვწერდით, რომ ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობა შუამდგომლობს, ნება მისცეს აიღოს სესხად 2,200,000 მანეთი. ამ ფულით უნდა გაიმართოს კანალიზაცია და გიდრავლიური ელექტრონის სადგური; უნდა დააშრონ ჭაობები და სხვა. ეს შუამდგომლობა, ქალაქის თავის მოადგილის გ. ჟურულის თანადასწრებით, განიხილა ნამესტნიკის საბჭომ. საბჭო სასურველად სცნობს სესხის აღებას. შუამდგომლობა მინისტრთა საბჭოს გაეგზავნება.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1. „სოლომონ ლეონიძე, მსაჯული ანუ ვიცე-კანცლერი მეფე ერეკლე და სოლომონ იმერთა მეფისა", ზ. ჭიჭინაძისა. ფ. 10 კ. 2. „ბედმა მიღალატა", კომედია სამ მოქმედებად, ალ. თუთოევისა. ფ. 20 კ.

◆ **სასკოლო კომისია.** ტფ. ქალაქის სასკოლო კომისიის წევრებად გუბერნატორმა დაამტკიცა კ. ა. გონიევი, ი. ს. ჯაბადარი და ტ. ა. ენფიანჯიანცი.

◆ **რედაქტორის საქმე.** აპრილის ბოლო რიცხვებში ტფ. სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე გაზეთ „ჩანგის" რედაქტორად ნამყოფის ლევან დადეშქელიანისა. დადეშქელიანს ბრალსა სდებენ სასჯელთა დებულების მე-129 მუხლის ძალით.

◆ **სეირნობა.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ 12 აპრილს დაადგინა, 27 მაისს მუშტაიდში გამართოს სახალხო სეირნობა. სეირნობის მოსაწყობად გამგეობამ ამოირჩია განსაკუთრებული კომისია.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის" მე-3 (მოზრდილთათვის) და მე 5 (მცირე-წლოვანთათვის) ნომრები.

◆ ამ დღეებში ერთი უცნობი კაცი მისულა ნაძალადევში ვაჭარ დადოევთან და განუცხადებია: მე ვეძებ ბოლგარელ მღვდელს და მასწავლე სად არის ან ეს მღვდელი ან ბოლგარელთა ეკკლესიაო. მეო, უთქვამს უცნობს, მაქვს 1200 ცალი ძველი ფული თითო 1 მანეთზე მეტი ღირს და მინდა ბოლგარელ მღვდელს მივყიდოო, რადგან სხვა მომატყუებსო. ვაჭარს დადოევს ეს „ბოლგარელი" შანტაჟისტად მიუღია და იგი იქვე დაუპატიმრებიათ,

უბედური შემთხვევა

(თარგმანი)

ბოგერი და დელებეკი ნასვამები შინისკენ მიდიოდნენ. იმათ გვერდით სამხედრო რაზმმა ჩაიარა. ბოგერს თავისი სალდათობა მოაგონდა, სალდათივით გაიჭიმა და სიცილი დაიწყო.

— რას იცინი?—ჩაეკითხა დელებეკი.

— არაფერს... აი, მე თუმცა ტომით ბელგიელი ვარ, მაგრამ საფრანგეთის ჯარში ვმსახურობდი. უნდა მართალი გითხრა, ძალიან პატიოსნად ვასრულებდი ჩემ მოვალეობას... შენ კი, ტომით ფრანგი, სამსახურს გამოექეცი და სამშობლოსთვის სამსახური იუკადრისე. ამნისტია რომ არა ყოფილიყო... ასეთი საქციელი, სწორე რომ გითხრა, შეუწყნარებელია და, თუ გნებავს, სასაცილოც. .

— რათა? სასაცილო რა არის?— წყნარად უპასუხა დელებეკმა.—შენ ისე მოიქეცი, მე ასე, ჩვენ ერთმანეთს, ვგონებ, ვერაფერს ვუსაყვედურებთ.

— რასაკვირველია ვერაფერს,— მიუგო ბოგერმა:—მხოლოდ ერთი ეს მითხარი: ჯარიდან რისთვის გამოიქეცი?

— იმისთვის რომ ცოლიანი კაცი ვიყავი, ვის ამარა დამეტოვებინა ცოლშვილი? მერეა და რა საჭიროა ჩემთვის ომი, ვის გულისთვის ვიომო? ბურჟუებისთვის? ეს ხომ იმათი გამოგონებაა, რომ ჩვენი მონაგარით ჯიბეები დაისქელონ. მე რომ ომში მოვეკალით, ერთი მითხარი, ვინ შეინახავდა ჩემ ცოლშვილს? მე ისეთს არაფერს ჩავიდენ, რომ არ მესმოდეს, ყველა ჩემი მოქმედება აწონილ-დაწონილი მაქვს.

— მაშ, როგორც სჩანს, სიკვდილისა გშინებია?—დაცინებით ეკითხებოდა ბოგერი.—მშიშარა ყოფილხარ?—თან ბოგერი გულში ეთანხმებოდა დელებეკს, რომ ყველა კაცმა ცხოვრება თავის სურვილზე უნდა მოაწყოს.

— მე მშიშარა ვარ? ერთით მართალი ხარ... ჩემთვის ეგ ბევრს შეუნიშნავთ... მაგრამ მე კიდევ გავიმეორებ, რომ სხვის გულისთვის რად ჩავარდე განსაცდელში? რას შემმატებდა ან მე და ან ჩემ მოძმეს ომი, სულ არაფერს!—დელებეკს გააჟრჟოლა, თითქო რაღაც განსაცდელის მოლოდინმა ცივ ოფლად წამოუარა.—ამ ლაპარაკს თავი გავანებოთ. აგერ კიდეც მივედით შინ და ვახშმის წინ ერთი ლუდი გადავკარით...

— ეხლა ტკბილი სასმელი უფრო მოგვიხდება, ვიდრე ლუდი,—მიუგო ბოგერმა.

— ტკბილ სასმელსაც ვიშოვნით! —ამაყად უპასუხა დელებეკმა.

შესასვლელ კარის წინ ბოგერის ბავშვები თამაშობდნენ. ამათ ფრთხილად აყარეს ბავშვები და სახლში შევიდნენ.

ცელინა სწრაფად მიეგება მოსულებს. იგი თუმცა პატარა ტანისაა, გამხდარი და უსახური ქალი იყო, მაგრამ დიასახლისობა ისეთ ლაზათს აძლევდა, რომ ლამაზ და მოხდენილ ადამიანად სჩანდა. ცელინამ მიგებებისათანავე ჰიქები ლუდით დაავსო და მაგიდაზე დასდგა.

— მაგას ტკბილი სასმელი უნდა, —უთხრა დელებეკმა.

ცელინა ცოტა შეყოყმანდა, მაგრამ დელებეკი უცბად წამოვარდა და სასმლის მოსატანად სარდაფისკენ გაეშურა. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც ბრახუნის და გატეხილ ჰურჭლის ხმა მოისმა.

— ვაიმე, ჩემი ჰურჭელი!—წამოიყვირა ცელინამ. თუმცა ქმარი უყვარდა, მაგრამ დიასახლისობის ინსტიქტმა პირველად ჰურჭელზე ზრუნვა გააფიქრა...

მალე მხიარულად მოთამაშე ბავშვები, ერთად მიყუჟულნი, გაოცებულნი შესცქეროდნენ დედას და ბოგერს, რომელთაც სარდაფიდან ხელში აყვანილი მიჰყავდათ მათი მამა დელებეკი. იგი უძრავად ტახტზე მიასვენეს.

— რატომ არ იძვრის?—ჰკვირთობდა ბოგერი.

დელებეკი ერთი უცბად შეინძრა და ტახტიდან იატაკზე გადმოვარდა. დელებეკმა თვალები გაახილა.

— არა უშავს რა,—იმეორებდა ბოგერი:—შეშინებია... მშიშარაა... აი შე მშიშარავ, შენა!—გაეხუმრა ბოგერი.

დელებეკი ცოტა გონს მოვიდა და მუცელზე ანიშნა. ხელად გაჰხადეს ტანისამოსი და ნახეს, რომ მუცელი გასჭროდა, ტანისამოსი მთლად სისხლში ჰქონდა მოსვრილი.

რამდენიმე საათის შემდეგ ექიმი სინჯავდა დელებეკს.

— ნუ თუ შველა აღარ არის?! — ბუტბუტობდა ბოგერი.

— არა,—უპასუხა ექიმმა.—მალე სისხლი მოეწამლება და შემდეგ...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დელებეკი ჰგრძნობდა, რომ ხსნა აღარ იყო. მხოლოდ ერთს დარდობდა, რომ ეს უბედურება სახლში მოუვიდა და არა ფაბრიკაში, საიდანაც საჩუქარს მიიღებდა და მაშინ იმის დაობლებულ ცოლშვილს ცოტაოდენი ცხოვრების ნუგეში მაინც გაუჩნდებოდა, ახლა კი რა უნდა ჰქნან ცოლმა და პაწაწკინა შვილებმა, ვის ამარა უნდა დარჩნენ? მწარე ოხვრით იმეორებდა დელებეკი.

— არაფერს მიიღებს,—წამოიბღავლა ცელინამაც,—დაზღვევიდანაც ცარიელი რჩება, რადგან ეს უბედურება სახლში მოუვიდა...

ოხ, ღმერთო ჩემო;—ხელმეორედ წამოიყვირა ბოგერმა:—რა არის რომ ზოგს უბედურებას საფლავშიაც კი აყოლებ ხოლმე?

ცელინა გულსაკლავად კვნესოდა. ჰგრძნობდა, რომ უნდა ეგლოვა არა მარტო ქმარი, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა, არამედ ის შეუწყალებელი ბედი, რომელმაც ასე უკუღმა დაატრიალა მისი ცხოვრების ჩარხი ნუგეში მოუსპო. იგი გაშმაგებული კითხვას კითხვაზე აძლევდა ექიმს:

— მაშ ვერაფერი მოხერხდება?... არა, უეჭველად უნდა მოვახერხოთ... უეჭველად...

— მაგისი შველა?—ჩაეკითხა ექიმი.

— არა,—მიუგო ცელინამ: როგორმე დასაზღვევი საჩუქარი მაინც უნდა მივიღოთ.

ექიმი შეიშმუშნა, ეს ნაკლებად აინტერესებდა.

ბოგერიც უკმაყოფილოდ იღრიჯებოდა და გაიძახოდა:

— ცხოვრება, ღმერთი, საზოგადოება, მთავრობა... ყველა ჩვენ გვიბრიყვებს, ჩვენ... დაბედშავებულ დალახაკებულ ხალხს...

— ღვთის გულისთვის, დამაცადეთ! —იხვეწებოდა დელებეკი რომ ცოტა ჩავიძინო...

ის იყო პირი იბრუნა კედლისკენ და კიდეც მიიძინა საუკუნოდ...

ბავშვები კვლავ განაგრძობდნენ თამაშობას... **გ. მოსუსვენხრიძე.**

მადლობაც ასეთი უნდა!

(თარგმანი)

დიდი უბედურება დაატყდა თავს ფერნანდ ხამარას, უზარმაზარ ქვანახშირის მაღაროების პატრონს: ეშმაკად მაღაროში ჩაეშვა, მაგრამ ბედმა უმტყუნა, მიწა ჩამოინგრა და იგი შიგ მოამწყვდია. ამ ცივმა სამარემ ფერნანდოს სიცოცხლისაგან მოწყვეტილად აგრძნობინა თავი. სანათი, რომელიც თან ჩაეტანა, მალე ჩაჰქრა შეგუბებულ ჰაერში და ისეთ ბნელაში დარჩა რომ თითი თვალში გეტაკებინათ, ვერ დაინახავდა. ამან უფრო ცრუანტელი დაუარა ტანში და მარტოობა და უიმედობა აგრძობინა. პირველ ხანებში ვერც კი მიჰხვდა, ან არ უნდოდა მიმხვდარიყო, თუ რა უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ მალე გონება მოიკრიბა, წარმოიდგინა თავისი უნუგეშო მდგომარეობა და ისეთმა სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რომ მთლად გაშეშდა, ველარ ინძრეოდა, ხმას ველარ იღებდა... პატარა ხანს შემდეგ, რომელიც მთელ საუკუნედ ეჩვენა, მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და მორთო ყვირილი, ყვიროდა მთელი ძალით, ღონით, ყვიროდა, სანამ ხმა არ გაუხრინწიანდა და თან ევედრებოდა, ეშველნათ, ჩქარა გაეთხარათ მიწა და ეხსნათ იგი ამ ჯოჯოხეთიდან. მართალია, გულ-ქვა იყო, მუშებს მეტის-მეტად მკაცრად ეკიდებოდა და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე მათ მიერ მონაწურ ოფლით აღებულ ორიოდ გროშისთვის ერთი კაპეიკი მაინც წაერთო, მაგრამ ეხლა იფიცებოდა, რომ ყველამდის ოქროში ჩასვამდა იმას, ვინც ცოცხლად დამარხულს ამ ნაადრევ საფლავიდან ამოიყვანდა. ერთი ბეწო რამის გაფათურებაზე იგი ყურებს სცქვეტდა ხოლმე, ეგონა საშველად მოდიანო, მაგრამ ამაოდ, საშველად არავინ მოდიოდა. ეტყობოდა დამდგარიყო მისი აღსასრულის დღე.

იგი კარგად გრძნობდა, რომ თან და თან სუნთქვა უძნელდებოდა და თავის ფუნთუშა ხელებით ხან ერთ ქვას ებღაუჭებოდა, ხან მეორეს, ლამობდა გასავალი ეპოვნა საითმე და თან გაჰკიოდა:

— სწრაფად, მეგობრებო, სწრაფად, ყველამ ერთად, მარდად იმუშავეთ! ნულა დააყოვნებთ, მეგობრებო, და ნუ გამხდით შავი მიწის უდროო მსხვერპლად მიშველეთ და მერე რაც გინდათ მთხოვეთ, ყველაფერს, ყველაფერს შეგისრულებთ... ჩემს ხარჯზე გავზრდი თქვენს შვილებს სასწავლებლებში, აგიშენებთ სადგომებს, სამაგალითო საავადმყოფოს... სიკვდილამდის უზ

„ბოლგარელი“ აღმოჩენილა ერევნის გუბერნიის მცხოვრები აღასი აივაზიანცი. აღმოჩენილა, რომ აივაზიანცს ძველის ფულის მსგავსი ლითონის ნაჭრები დაუმზადებია, რომ ძველ ფულად გაესაღებინა. გამოძიებით გამორკვეულა, რომ აივაზიანცს წინადაც ჩაუდენია ამგვარი შანტაჟისტური საქმეები. მას 18 თებერვალს ამგვარადვე მოუტყუებია რკინის გზის სამმართველოს მოხელენი მჭედლიშვილი და ტრუებეცკი. მათთვის აივაზიანცს გამოურთმევია 600 მან. და მიმალულა კიდეც. აივაზიანცი დააპატიმრეს.

◆ 12 აპრილს პოლიციამ დააპატიმრა ლუდხანის პატრონი სტეფანე ნიკოლოზის ძე ლარიბოვი, რომელიც 1903 წლიდან იმალებოდა თურმე, რომ თავიდან აეშორებინა სამხედრო ბეგარა. დაპატიმრებული ტფილისში სცხოვრობდა დაპატიმრებულ ძმის გეურქ ლარიბოვის პასპორტით.

◆ მიხეილის პროსპექტზე 11 აპრილს დილის 10 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ვართან ბერიევის სახლს, ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყეს და ჩააქრეს.

მოწერილი ამბები

სოფ. დიდი-ლილო (ტფილისის მაზრა). როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, აქ განიზრახეს საკრედიტო ამხანაგობის დაარსება. ამისთვის წვრილი კრედიტის საგუბერნიო კომიტეტში შეიტანეს თხოვნა, 15 მარტს მოვიდა წვრილი კრედიტის ინსპექტორი ბ-ნი დავიდოვი. მან ადგილობრივ სკოლის შენობაში მოახდინა კრება და მასწავლებლის საშუალებით (ინსპექტორმა ქართული არ იცის) დაწვრილებით აუხსნა ხალხს საკრედიტო ამხანაგობის წესდება და აღუთქვა შუამდგომლობის გაწევა მის გასახსნელად. თანხად დაჰპირდა 1000 მან. გრძელის ვადით და 3000 მანეთამდე მოკლე ვადით, ამასთან აღუთქვა მოკლე ვადიან სესხის გადიდება შემდეგში 6000 მანეთამდე, თუ ამხანაგობის საქმე კარგად წავა. დასასრულ, ინსპექტორმა უსურვა ხალხს მომავალ ამხანაგობის აღორძინება და დახურა კრება. ხალხი დიდის იმედით დაიშალა.

აქ ჯერ კიდევ 1907 წელს განიზრახეს ახალ წყაროს გამოყვანა შუაგულ სოფელში, რისთვისაც ითხოვეს სამეურნეო თანხიდან სესხად ექვსი წლის ვადით უსარგებლოდ 1000 მან., მაგრამ დღემდის სხვა და სხვა მიზეზისა გამო ვერ მოიყვანეს სისრულეში თავიანთი განზრახვა. დღეს კი, როცა ძალისა და „უფლების მქონე მეზობლებმა მიაქციეს ამ წყაროს ყურადღება, ხალხი იმ შიშით, რომ უწყლო არ დარჩენილიყო, დაფაცურდა და შეუდგა წყლის გამოყვანას. 25 მარტს აქ მოვიდა ინჟენერი ქურდიანი, რომელმაც ადგილობრივ დაათვალიერა წყარო, უსასყიდლოდ დაგეგმა ადგილი, საითაც წყალი გაივლის, და აღუთქვა ხალხს ანგარიშის შედგენა უსასყიდლოდვე. ხალხმა ამ შრომისთვის ბ-ნ ქურდიანს მადლობა გადაუხადა.

წელს აქეთ ძალიან გამრავლდა მინდვრის თაგვი და დიდს ვნებასაც აყენებს ჯირნახულს. თაგვების წინააღმდეგ სოფელმა ითხოვა წამალი საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილებიდან, მაგრამ ამ წამალმა სულ არ იმოქმედა თაგვებზე. საცდელად დაიჭირეს ხაფანგით რამდენიმე მინდვრის თაგვი და ხაფანგშივე ათი დღის განმავლობაში აჭამეს საწამლავი, მაგრამ მან არამედ უფრო დაასუქა.

ამას გარდა ჯეჯილზე გაჩნდა რაღაც ჟანგის ფერი წვრილი სოკო, რომელსაც ჟანგის-ფერი მტვერი სდის და რომელსაც ხალხი „ჟანგარო“-ს ეძახის. სოკოები მოდებულია უფრო ჯეჯილის ქვევით ფოთლებზე, რომლებიც დამჭკნარ-გაყვითლებულია. ხალხი ამ მოვლენას კარგის მოსავლის მომასწავებლად სთვლის. ამ აზრს აფუძნებს იმაზე, რომ ამ 10-15 წლის წინად „ჟანგარო“ ხშირი მოვლენა ყოფილა; ამასთანავე როცა კი „ჟანგარო“ გაჩენია ჯირნახულს, მოსავალიც კარგი ყოფილა. ხალხი ამ მოვლენას ხსნის რაღაც ზღაპრულად. საჭიროა ჩვენმა აგრონომებმა მიაქციონ ამას ყურადღება და გაზეთებში განმარტონ, თუ რისგანა ჩნდება „ჟანგარო“ და რა გავლენა აქვს ჯირნახულზე?

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: რკინის გზის ნავთლუღის სადგურთან საკახეთო გზის გვერდით მიუდის მოკლე, საცალ-ფეხო გზა, რომელზედაც დაიარება მთელი გარეთ კახეთი, რადგან ეს გზა მეტად მოკლეა. ამ გზით ქალაქიდან გამოაქვთ ბოჭკებით უსუფთაობა და ნავთლუღის სადგურიდან ერთი ვერსის სიშორეზე ჰღვრიან სწორედ გზის პირას ორმოებში, რომლებიც დათხრილია მეგაჯეებისაგან. ამ ორმოებში ერთავად სდგას სიბინძურის გუბეები, რის გამოც ეს ადგილი მთლად მოშხამულია. სულ-შემხუთავ სუნთან ერთად აქ ზაფხულობით ჩნდება აუარებელი ბუზი და სხვა მწერი, რომლებიც ასხდებიან მგზავრებს. შეუძლებელია აქ გავლა ქარიანს დღეს, რაც, საუბედუროდ, აქ იშვიათი არ არის, რადგანაც ქარი სიბინძურის გუბეებიდან იღებს წუწკლებს და მგზავრებს შიგ სახეში უშხაპუნებს. საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება სამაზრო სანიტარო კომისიამ და აიძულოს ქალაქის გამგეობა, რომ მან სულ აკრძალოს სიბინძურის გამოტანა აქ. თუ ეს მოუხერხებელია, გზის მოშორებით მაინც გადაადგილებინოს, რადგან ამას ორ-ნაირი სარგებლობა ექნება: ჯერ ერთი მინდორი გაპოხიერდება და მეორეც—ხალხი ასცდება რაიმე ავადმყოფობის გადადებას.

ხ. კ.

სოფ. საყარაულო (თიანეთის მაზრა). აქეთ ხმა გაავრცელეს, ვითომ თიანეთში სამაზრო სამმართველოს სპობდნენ; ვითომ ნახევარ მაზრას დუშეთის მაზრას უერთებდნენ და ნახევარს თელავისას. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ამ ამბავმა ყველანი დააღონა.

სოფელ საყარაულოში, თავად ჭავჭავაძის მამულში, დგას ოთხიოდე კომლი მალაკანი რომელთაც იჯარით აქვთ აღებული ნაწილი ჭავჭავაძის მამულისა. აქვე დგანან მთიდან ჩამოსახლებული ხევსურები. ერთ უმაწვილს ხევსურს, მოსწონებია მალაკნის ქალი, და ამას წინად წაუყვანია ერთი თავისი ამხანაგი და მოუტაცნია ეს მალაკნის ქალი. ხევსურს სამი ღამე ტყეში ჰყოლია ქალი, ჰგონებია, ხევსურის ქალივით გულს მოულბობ და შეუღლეობაზე დავიყოლიებო, მაგრამ, ამაოდ: მალაკნის ქალი უარზე შემდგარა. მომტაცებელი ხევსური თავის ამხანაგით დააპატიმრეს. გამოძიება სწარმოებს. როგორც გავიგე, ხევსურები ეხვეწებიან მალაკნებს: რასაც დაგვაკისრებთ ფულს, გადავიხდით და საჩივარი მოვსპოთო მაგრამ მალაკნები უარზე დგანან თურმე.

ქართველი ოსებში.

ქუთაისის ავ-კარგი

არა ერთხელ აღნიშნულა ქართულ პრესაში ის გარემოება, რომ ეროვნული სიმღერა გადაგვარდა საზოგადოდ საქართველოში და კერძოდ იმერეთში, სადაც, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, ქართველობის მეტი სუნი ტრიალებს. ეროვნულ სიმღერას კანტი-კუნტად თუ გაიგონებთ, თორემ ყველგან სოფლად და ქალაქად გამეფებულია ევროპიულ და ციგნურ ხმებთან შეწყობილი ქართული სიტყვები: გიტარა აუცილებელი კუთვნილობაა იმერეთის ოჯახისა და ასე და ამგვარად თუ სულ არა, უმეტეს ნაწილად მაინც ეროვნული სიმღერა განდევნილია ქართველის ოჯახიდან.

უთუოდ ეს გარემოება მიიღო მხედველობაში ქართულ სიმღერის მოყვარულთა მცირე ჯგუფმა, როცა მოიწადინა ქუთაისის ქართულ ხოროს საზოგადოების (**Кутайское Грузин. хоровое о-во**) დაარსება. წესდება ამ საზოგადოებისა უკვე დამტკიცებულია, დამაარსებელთ წარსულ მარტში უკვე ჰქონიათ პირველი კრება, რომელსაც ჩვენის საზოგადოების ჩვეულებრივ გულგრილობის გამო მცირე ხალხი დასწრებია. ამ კრებაზე აღუნიშნავთ წესდების ზოგიერთ მუხლის მოუხერხებლობა და საჭიროდ უცვნიათ მისი შეცვლა. გარდა ამისა აურჩევიათ საზოგადოების საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრები და დირიჟორი.

მეორე კრება გაიმართა 11 აპრილს ბ-ნ ვლადიმერ აბულაძის თავმჯდომარეობით. კრებას შედარებით ბევრი ხალხი დაესწრო. მიღებულ და დამტკიცებულ იქმნა წინა კრების დადგენილებანი და, გარდა ამისა, დამსწრეთა უმრავლესობა წევრად ჩაეწერა. უმთავრესი ცვლილება, რომელიც წესდებაში შეიტანეს, ის არის რომ წლიური საწევრო გადასახადი, 12 მანეთი, შეამცირეს 3 მანეთამდის, რათა მსურველთ გაუადვილდეს საზოგადოებაში შესვლა და მოღვაწეობა.

საზოგადოების საბჭოს წევრებად აირჩიეს თ-დ ბონდო მიქელაძე, გიორგი თუთბერიძე, გიორგი ალშიბაია, ივლიანე ანჯაფარიძე და ალექსანდრე შენგელაია. მათ კანდიდატებად: გ. მკურნალი, დ-რი ნიკო დგებუაძე და ნიკო მარჯანიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: გ. ს. ჩაჩუა, მ. მ. ქეიშვილი და თ-დ მ. პ. დადიანი. ლოტბარად არჩეულ იქნა ბ-ნი მიხეილ შარაბიძე, რომელიც, თანახმად წესდებისა, ირჩევს თავის თანაშემწეს, რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების საბჭო.

საზოგადოებამ ამნაირად უკვე დაიწყო მოქმედება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი ეროვნულ სიმღერას და გალობას შესაფერ ადგილს მოუპოვებს ქართველ საზოგადოების ცხოვრებაში.

⁂

როცა ქუთაისში პირველად გამოვიდა რუსული ყოველ დღიური გაზეთი „**Кут. Листок**“-ი გვეგონა, რომ დიდი დღე არ ექნებოდა და რამდენიმე ნომერის გამოცემის შემდეგ იგი დაიხურებოდა. ასეთი მოსაზრება მით უფრო სამართლიანად მიმაჩნია, რომ ჩვენი ქალაქის დიდს უმრავლესობას ქართველობა შეადგენს და მათ დასაკმაყოფილებლად საკმაოდ მიგვაჩნდა ტფილისის ყოველ დღიური გაზეთები, რომელიც გამოცემის დღეს დილას ურიგდებათ მკითხველებს, და ადგილობრივი ყოველ კვირეული ქართული გაზეთი „ფონი“. რუსულ გაზეთის მოყვარულთათვის საკმაოდ მიგვაჩნდა ტფილისისავე ყოველდღიური გაზეთები, რომელნიც უფრო ვრცლად არკვევენ საკითხებს, ვიდრე ადგილობრივი ფურცელი შესძლებდა. მაგრამ ჩვენი მოსაზრება ვერ გამართლდა. ქუთაისის რუსული ფურცელი ვრცელდება ქუთაისში, ტირაჟი, როგორც გვითხრეს, დღითი-დღე მატულობს. თუ ასე წავიდა საქმე, შეიძლება ახლად გამოჩეკილმა ფურცელმა „ტფ. ლისტ.“-ს ადგილი დაიჭიროს ქუთაისში, მით უმეტესად ჩვენი ქალაქის ფურცლის სულის ჩამდგმელნი არიან ერთი ყოფილი და მეორე აწინდელი თანამშრომელნი „ტიფლ. ლისტ.“-სა.

რით დაიმსახურა ქუთაისის საზოგადოების ყურადღება ქუთაისის ფურცელმა? ვინ არის მისი მკითხველი? შინაარსით ფურცელი ბევრს არაფერს წარმოადგენს და ვერც გაგვიგია, რითი ხიბლავს იგი მკითხველს. რაც შეეხება მკითხველების ვინაობას, ამაზე ქალაქში სხვა და სხვა აზრი ტრიალებს: ერთნი ამბობენ, რომ გაზეთს ძალად აჩეჩებენ ხელში ისეთ პირებსაც-კი, რომელთაც რუსულისა არა გაეგებათ-რა; მეორენი ფურცლის მკითხველებად ასახელებენ მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელიც იმითია თურმე მოხიბლული რომ ზოგიერთ მათგანის ნაწარმოებს ბეჭდავს ფურცელი, მესამენი ფურცლის გავრცელების მიზეზად ასახელებენ იმის სიიაფეს. ერთის სიტყვით სხვა და სხვა აზრი ტრიალებს, ხოლო ასეთ უშინაარსო და ამასთან რუსულ გაზეთის ფეხის მოკიდება ქუთაისში იმის მეტს არას წარმოადგენს რომ ქართველი საზოგადოება, როგორც არა ერთხელ აღნიშნულა გადაგვარების გზაზეა დამდგარი.

⁂

კავკასიის სამოსწავლო ოლქის დეპუტატად ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლეთა გამოცდაზე დასასწრებლად დაუნიშნავთ სახალხო სკოლების დირექტორი ლ. ი. სემენოვი,

ნატალიაშვილი.

აკაკის ლექცია

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი მხნედ მოქმედებს. იგი დაუღალავად ემსახურება თავის მიზანს. თანდათან იძენს მსმენელთა თანაგრძნობას. კვირას, 11 აპრილს, ლექცია წაიკითხა, ანუ უკეთ მსმენელებს საქართველოს არქეოლოგიურ ნაშთებზე ებაასა მცხოვანი მგოსანი აკაკი. მგოსნის ყოველ სიტყვას დიდის გულის-ყურით ისმენდნენ დამსწრენი. მგოსანმა სხვათა შორის სთქვა: ერთმა ჩემმა ნაცნობმა ქართველმა მანდილოსანმა ის იყო დაათავა ლეონიდ ანდრეევის თხზულების კითხვა და შემდეგ ასე მომმართა:

— როგორ მოგწონთ ლეონიდ ანდრეევი?

მე ვუპასუხე:

— თქვენ როგორ-და მოგწონთ შოთა რუსთაველი?

— **Кто такой Эриставели?**.—მივიღე პასუხად.

დიაღ, ბევრია ასეთი მცოდნე სამშობლო ლიტერატურისა ჩვენს განათლებულებს შორის, წარსულის დავიწყება—ნიშანია მომავლის არარად მიჩნევისა. აწმყო და წარსული, იმათ საღ ნაწილებისაგან შეერთებულ-შეზავებული ერთეული—აი მასალა მომავლის ასაშენებლად.

მთელი ჩვენი ქვეყანა, წინაპართა სისხლითა და ძვლებით გაპოხიერებული, წარმოადგენს აკლდამას, არხეოლოგიურ ნაშთს, რომელსაც საქართველოს ვეძახით. იგი ნაშთი ჩვენის წარსულისა და კულტუროსნობისა გვიანდერძეს ძველმა ქართველებმა. იკარგება ძველი ნაშთები ცხადლივ და მალვით, ჰქრება და ილუპება საუკუნოებით დაცული ნივთები და იქნება შორს აღარ იყოს ის დროც, როდესაც წარსულის მოსაგონებლად აღარაფერი გადარჩება.

სანამ სულ არ გავითიშულვართ გულგრილობით, ვიდრე სულ არ შევბოჭილვართ უყურადღებობის ბრჭყალებით, ვუპატრონოთ, მგოსნის რჩევით, ერთ საქმეს: მრავალი ძვირფასი ზეპირგადმოცემა და ძველი წიგნი, დასალპობად განწირული, ელოდება გამომზევრებას, გამოიღოს ყველამ თითო აბაზი—ამით შესდგება თანხა, რომელიც იხსნის განადგურებისაგან ჩვენი თვითცნობიერების გადმოცემას მაინცაო.

საქმე, რათქმა უნდა, ძნელი ასასრულებელი არ არის. საჭიროა საქმის ერთგული და თანაგრძნობა...

ჯავახ-ფშვ.

მოგონება

მოვაგონებ ქართველ საზოგადოებას და განსაკუთრებით ჩვენ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რომ მომავალ მაისის 8-ს სრულდება 25 წელიწადი ე. მჭედლიძის სიკვდილიდან, რომელიც მოკლულ იქმნა ქუთაისში 8 მაისს 1885 წელს.

ე. მჭედლიძე სულ ცოტა ხანს მოღვაწეობდა ქართულ სამწერლო ასპარეზზე და ჯერ ისევ ძალიან ახალგაზრდა, სწორედ მაშინ, როცა, რუსეთიდან ახლად დაბრუნებულმა მოჰკიდა კალამს ხელი და მისმა ნიჭმა სამაგალითოდ იწყო გაფურჩქვნა, ულმობელმა ხელმა ძალით გამოასალმა წუთი-სოფელს.

გადაათვალიერეთ მაშინდელი გაზეთები „შრომა“ და „დროება“, ჟურნალები „იმედი“ და „ივერია“ და ბლომად შეხვდებით ნიჭიერად დაწერილ წერილებს! იგი სწერდა პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებს პსევდონიმით „ბოსლეველი“ ქუთათურ „შრომაში“, ქუთათურ ფელეტონებს პსევდონიმით „გარეშე მაყურებელი“ „დროებაში“, წერილებს „მანგლის“ პსევდონიმით ჟურნალ „ივერიაში“ და სხვა (საყურადღებოა, მაგალითად, მისი გარჩევა ილია ჭავჭავაძის „განდეგილისა“.)

მე დიდი ხანია გამოვთქვი ჩემი აზრი, რომ ვინმემ უნდა ითავოს და გამოსცეს მეთქი პატარა წიგნაკებად იმისთანა მწერლებისა და მოღვაწეების, როგორიც ე. მჭედლიძე, ნ. დადიანი, მ. ხელთუფლიშვილი, რ. ჩიკვაიძე („ალისუბნელი“) და სხვაა, რჩეული ნაწერები ბიოგრაფიებით და სურათებით, მაგრამ სხვა რა კეთდება ჩვენში, რომ ეს გაკეთებულიყოს.

გასაკვირველია, თვითონ მწერალმოღვაწეთა ახლო ნათესავნი მაინც რატომ არა სცდილობენ მათის ხსოვნის პატივსაცემლად ამისთანა წიგნაკების გამოცემას, რომ სრულს დავიწყებას არ მიეცნენ ისინი? მაგალითად, ე. მჭედლიძეს დარჩნენ ძმები, ძმისწულები და ახლო ნათესავები, რომელთაც, რომ მოენდომებინათ ეს, მგონი, არ გაუჭირდებოდათ ერთი 100—200 გვერდიან წიგნაკის გამოცემა მის სახსოვრად.

ასე, თუ ისე, 8 მაისის 25 წელიწადი სრულდება ე. მჭედლიძის სიკვდილიდან და იმედია, ამ დღეს მაინც მოვიგონებთ იმის ამაგს და ვუძღვნით მისს ხსოვნას რამდენსამე სტრიქონს.

დუტუ-მეგრელი.

ქალაქის საბჭო

12 აპრილი.

ტფ. ქალაქის საბჭომ 12 აპრილის სხდომაზე წვრილმანი საქმეები განიხილა. თავმჯდომარის წინადადებით საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა ხმოსნად ნამყოფის და ამ დღეებში გარდაცვალებულის ივ. ფ. ოხორჟევსკის ხსოვნას. საბჭომ შემდეგ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება მცირე ფასიან მამულების პატრონთა განთავისუფლების შესახებ დასაფასებელ გადასახადისაგან, 3 ხარისხის შურის ნიხრი საბჭომ, თანახმად კომისიის და გამგეობის დადგენილებისა, 2 ნახ. კაპ. 3 კაპ. ასწია. 126 მან. მიეცა დაავადმყოფებულ მეთუნეს იაკობ ნადირაძეს. საბჭომ 200 მანეთი გადასდო დამატებით ობოლთა სასამართლოს სადგომის დასაქირავებლად. ამისათვის გადადებული იყო 500 მან., მაგრამ ამ ფასად შესაფერი ბინა ვერ იშოვნეს. საბჭომ განიხილა მეთონკარედ ნამყოფის, აწ განსვენებულის ჩიქინკირიანის ქვრივის განცხადება შემწეობის შესახებ. ჩიქინკირიანის ცოლი ქმართან არა სცხოვრობდა. როცა ქმარი მომკვდარა, დამმარხველიც არ აღმოსჩენია, ხოლო ექვსი თვის შემდეგ ქვრივს გამგეობისთვის შემწეობა უთხოვნია. გამგეობას აღუნიშნავს რა ეს გარემოება, მაინც შესაძლებლად უცვნია 200 მანეთის მიცემა. საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა, უარი გამოეცხადოს ჩიქინკარიანისას.

საკითხი ქალაქის გამგეობის საკანტორო განყოფილების დაარსების შესახებ გადაიდო სხვა დროისათვის. საქმე ამაშია, რომ წინა სხდომაზე სა-

---

რუნველ გყოფთ.. დაუნიშნავ პენსიებს მოხუცებულთ და დასახიჩრებულთ.. ჩემი პირიდან აღარ გაიგონებთ ერთ ცუდ სიტყვასაც, ერთ საყვედურსაც-კი... ჩემს ქონებას მთლად თქვენ დაგილოცავთ... ოღონდ მიშველეთ, ოღონდ სიკვდილის პირიდან მიხსენით, ჩემო ძვირფასნო, კეთილნო მეგობარნო! გესმით თუ არა, ჰა?!.

ესმოდა, რომ რაღაცას უპასუხებდნენ, მაგრამ რას, ვერ გაერკვია, რადგან მიწის სქელი კედლები ამ ხმებს იმის ყურამდის არ აწევდინებდნენ.

— ნეტა ვიცოდე,—ფიქრობდა ფერნანდი,—რას აკეთებენ ეხლა იქ, მესმოდეს მესმოდეს მაინც, რას მეუბნევიან. მანუგეშებენ—რომ საშველად მოდიან, თუ მწარედ დამცინიან და მეძახიან: „ახია შენზე, ემაგის ღირსი ხარ, შე სისხლის მსმელო, შე კაცი ჭამია შენა, ადრე იყავი ჩასაძაღლებელი და გვიან ჩაძაღლდიო“.

უცებ მას რაღაცა ხმამ წასძახა, რომ მას ემუქრებიან, დასცინიან და იქ, მაღლა, ერთი სიცილ-ხარხარი, ერთი ზეიმია. ამან გონება დაუბნია, ცივმა ოფლმა დაასხა ტანზე, ფეხები აუკანკალდა, თვალთ დაუბნელდა და ულონოდ დაეშვა მიწაზე, თან შუბლი ერთ გამოშვერილ ქვას მაგრა მიუჯახუნა.

— ეჰ, გათავებულია, გათავებული,—ბუტბუტებდა იგი და თან მალმალ თავზე ხელს იტაცებდა ხოლმე, გრძნობდა, რომ ჭკვიდან იშლებოდა. და ან რატომ არ გაიხარებენ: ჩემს შემდეგ ჩემი ქონება ხომ ჩემი შვილის ანტონის ხელში გადავა, იმას კი ისინი აღმერთებენ... ჩემი სიკვდილი მათთვის სწორედ აღდგომა იქნება... ვინ იცის, იქნება ყველაფერი ეს, რაც მოხდა, უბრალო შემთხვევა არ არის? იქნება მათ განგებ დამიგეს მახე? ღმერთო, გადმომხედე მოწყალე თვალით!—წამოიძახა ფერნანდმა და თან აკანკალებულის ხელით პირჯვარი გადაისახა. ან კი რისთვის ვეპყრობოდი იმათ ასე მკაცრად? რისთვის ვტანჯავდი, ვაწამებდი?.. ოჰ, ეხლა რომ აქედან ამიყვანდეს ვინმე, ხომ სულ სხვა ადამიანად გადვიქცევი... და ან რა ეშმაკი მოჩარბევინებდა ამ დაწყევლილ მაღაროში?!. რა მქონდა სანახავი? რა კარგი იქნებოდა, რომ სახლში დავრჩენილიყავ და აქ არ გამოვქცეულიყავ. ეხლა ხომ ჩვენ ყველანი ერთად აივანზე ვისხდებოდით საუზმეზე. ჩვენ წინ მაგიდაზე იდგმებოდა ათასნაირი ძვირფასი საჭმელ-სასმელი..., აივნის წინ შადრევანია... ირგვლივ კიდევ თვალწარმტაცი ყვავილები, ქანდაკებები... ჩემს პირდაპირ იჯდებოდა ჩემი მარიამი თავის ლამაზ ვარდისფერ პენუარში... ოჰ, რა მშვენიერებაა ყველა ეს და მე კი რა ნაკლებად ვაფასებდი მზეს, მთვარეს... ეხლა მთელ ჩემს სიმდიდრეზე ხელს ავიღებ, რომ ერთხელ კიდევ ვიხილო მზე, გავცოცხლდე იმის ოქროს ფერ სხივებით, თავისუფლად ამოვისუნთქო. ყველა ამის მაგიერ კი სიკვდილი, აუცილებელი, შეუბრალებელი და მერე ასეთი სიკვდილი... მაგრამ განა შეიძლება ჩემმა მარიამ და ანტონმა, ცოლმა და ღვიძლმა შვილმა, მიწას მიმატოვუს? არა, არა, შეუძლებელია... მუშები მათ დაუჯერებენ, მათთვის თავს არ დაზოგავენ... ხომ ვიცი ჩემსას ეხლა ყველას ეცოდინება ჩემი უბედურობა და ვინ იცის, როგორი გახურებული მუშაობა იქ მაღლა, რომ მალე ამიყვანონ,—ფიქრობდა ფერნანდი. გული დაიმშვიდა, რომ მალე თავისუფლად ამოისუნთქებდა.

მაგრამ უცებ სულ სხვა აზრმა გაურბინა გონებაში და ჩაქუჩივით ჩაჰკრა თავში.

— განა შეუძლებელია რომ ცოლმა და შვილმა მიღალატონ? რა გამოსადეგი ვარ მე იმათთვის? ნუ თუ მარიამ, იმისთანა კეკლუც არსებას არ ურჩევნია დარჩეს ქვრივად დიდი ქონებით და მერე გაჰყვეს ცოლად ჩემზე უკეთესს, აი თუნდ რომელსამე გრაფს? რაც შეეხება ანტონს, ხომ მუდამ უსიამოვნება მქონდა იმასთან მუშების გამო... ხომ მას თავი ლიბერალურ აზრებით აქვს გატენილი და მუდამ იმას ოცნებობს, რომ საქმე ხელში ჩაიგდოს და ყველაფერი ახალ საფუძველზე დაამყაროს?.. ოჰ, რა სულელი, რა ბრიყვი ვიყავი, რომ ცოლის და შვილის ერთგულებაზე ვფიქრობდი... აი სწორედ რომ რეგვენი ვარ, რეგვენი... ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა...

და იგი ხარხარებდა, ხარხარებდა დაუსრულებლად ისტერიულის, საზარელის ხარხარით, ნახევრად გონებიდგან შეშლილ ადამიანივით.

უცებ შეჩერდა, ხმა გაკმინდა. გულმა ტოკვა დაუწყო და სიხარულით არ იცოდა, რა ექმნა: იქ, სადღაც, იმის მახლობლად, წერაქვის ხმა ისმოდა და მერე ყური მოჰკრა:

ეი, ბატონო, გესმის თუ არა?

— მესმის, მესმის,—შეჰყვირა მან გახარებულმა და თან გულზე ხელი იტაცა, თითქოს ეშინოდა, არ გამსკდარიყო,—ოჰ, თქვენი ჭირიმეთ, მეგობრებო, თქვენ ჩემთან მოდიხართ?

— შენთან, შენთან,—მოესმა რამდენიმე ხმა,—ნუ გეშინიან, ორი სამი საათის შემდეგ ჩვენთან იქნები ისევ, მხოლოდ წყნარად იყავი.

ფერნანდმა გული დაიმშვიდა, რომ სიკვდილის პირიდან უკვე გადებული იყო, და იქვე ქვაზე ჩამოჯდა.

რამდენიმე საათის შემდეგ ბნელმა სამარემ კვლავ დაუბრუნა მუშებს მათი მწვალებელი. ფერნანდმა თავისუფლად ამოისუნთქა და რაკი დარწმუნდა, რომ მიწაში აღარ იყო, დარწმუნდა, რომ კვლავ შეეძლო სიცოცხლე და ბრძანებლობა, შუბლი შეიკრა, მრისხანე სახე მიიღო და შემდეგი სიტყვებით მიუბრუნდა მუშებს, რომელნიც სიხარულით გარს შემოხვევოდნენ:

— მე თქვენ გასწავლით ჭკუას! გასწავლით დაუდევრობას, თქვე ბრიყვებო, თქვენა! თქვენი ბატონიც კი ვერ ჩაგიშვიათ უხიფათოთ მაღაროში, თქვე პირუტყვებო, თქვენა!

თან მოურავს უბრძანა ყველასთვის ჯარიმა დაედო. მუშები თავ ჩაქინდრულნი წავიდ-წამოვიდნენ...

სანდრო გორელი.

ბჭომ პრინციპიალურად საჭიროდ სცნო (14 ხმით წინაამდეგ 13 ხმისა) კონტროლის შემოღება. თავმჯდომარემ მაშინ პირველი მუხლი წაიკითხა საკონტროლო განყოფილების წესდებისა. ამ მუხლის ძალით საკონტროლო განყოფილება უნდა დაექვემდებაროს ქალაქის გამგეობას. 12 აპრილს საბჭო უნდა შეუდგომოდა წესდების განხილვას. ხმ. ჯაბადარმა, ლუნკევიჩმა და სხვებმა განაცხადეს, რომ წასულ სხდომაზე 1 მუხლის მისაღებად კენჭის ყრა არა ყოფილა და არცა გვსურს, რომ კონტროლი ქალაქის გამგეობას დაექვემდებაროს; ამიტომ წესდება თავიდან უნდა განვიხილოთო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ თავმჯდომარემ სულ მოხსნა ეს საკითხი და სთქვა, რომ გამგეობა ხელახლა შეიმუშავებს ამ საკითხს და შემოდგომისათვის წარმოგიდგენთო.

რამდენიმე წვრილმან საქმის განხილვის შემდეგ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, სხვათა შორის, ტფ. გუბერნიის თავად-აზნ. შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წინადადებამ განთვისა და გელიამინოვის ქუჩაზე მდებარე საზოგადოების სახლის შესყიდვის შესახებ. საზოგადოებას წინადადება მიუცია გამგეობისთვის, ქალაქმა ეს სახლი 450,000 მან. შეიძინოს. ქალაქის გამგეობას და ტეხნიკოსებს დაუთვალიერებიათ სახლები. სახლი დაგირავებულია ბანკში 150,000 მანეთად. მიწა შეიცავს 500 ოთხკუთხ საჟენ; 9 მაღაზიაა შიგ მოთავსებული და ბინები მეორე და მესამე სართულში. გამგეობისა და ტეხნიკოსების აზრით, მიწა ამ ნაწილში უნდა ღირდეს 300 მანეთი საჟენი. სულ მოდის 150,000 მან., ხოლო სახლიანად 250,000 მან. სახლს შემოაქვს წლიურად 17,000 მან. გამგეობას დაუდგენია საზოგადოებას 300,000 მანეთი მისცეს სახლშიო. ეს სახლი გამგეობის სადგომზე მიდგმული და რადგან ახლანდელი სადგომი სამყოფი არ არის, საჭირო იქნება მისი გაფართოება. ხმოსანთა უმრავლესობა წინააღმდეგი არ იყო სახლის შეძენისა, მაგრამ მოხსენება გამგეობისა ვერა სცნეს ვრცლად შედგენილად და მოითხოვეს შეემუშაოს გამგეობამ დაწვრილებით, რა დაწესებულების მოთავსება შეიძლება იქ და რა სარგებლობა ექნება ქალაქს ამ სახლის შეძენით. ერთმა ხმოსანმა იყიდა საჟენი მიწა 300 მან., რაზედაც უპასუხეს, რომ საურთიერთო საკრედიტო ბანკმა სოლოლაკის ქუჩაზე 500 მანეთი მისცა საჟენ მიწაში, ხოლო გელიამინოვის ქუჩა არ ჩამოუვარდება სოლოლაკისასაო. საბჭომ ხანგრძლივ კამათის შემდეგ დაადგინა, დაავალოს გამგეობას საქმის დაწვრილებით შესწავლა და მოხსენების შედგენა.

თეატრი და ხელოვნება

დასის მოგზაურობა. ტფილისიდან პროვინციაში წასული არტისტთა დასი უკვე დაბრუნდა ტფილისში. გადმოგვცეს შემდეგი ანგარიში დასის მოგზაურობისა.

ამხანაგობაში შედიოდნენ, შემდეგი მსახიობნი: მ. მდივანი, ნ. რიონელი, ა. შოთაძე, კ. მესხი, ი. ზარდალიშვილი, ნ. გვარაძე, ვ. მატარაძე, ი. ჟივიძე, კ. ანდრონიკაშვილი, ვ. ურუშაძე და გ. გურული (სუფლიორი). ამხანაგობამ მოიწვია ვლ. მესხიშვილი 15 წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად 500 მანეთად და გზის ხარჯიც ამხანაგობამ იკისრა. რადგან ზოგიერთ ადგილას ამხანაგობას სთხოვეს ზედმეტ წარმოდგენების გამართვა, ამიტომ დასმა დასდგა 20 წარმოდგენა. ამხანაგობამ დაიწყო მოგზაურობა 10 მარტს და დაამთავრა 9 აპრილს, ასე რომ მგზავრობამ სრულ ერთ თვეს გასტანა.

შემოსავალი იყო:

ყვირილაში	1	წარმოდგ.	— 218 მან. „
ჭიათურაში	3	„	— 475 მ. 10 კ.
ქუთაისში	4	„	—1194 მ. 80 კ.
სამტრედ.	2	„	— 339 მ. —
ფოთში	3	„	— 701 მ. 30 კ.
ბათუმში	3	„	— 736 მ. 40 კ.
სოხუმში	3	„	— 516 მ. 80 კ.
ხონში	1	„	— 143 მ. 60 კ.

სულ 4325 მან.

მთელი ხარჯი იყო 2126 მან. 14 კაპ. მესხიშვილს 20 წარმოდგენაში მიეცა 750 მან., მასვე ბენეფისიდან—142 მ. 30 კაპ. სულ მესხიშვილმა მიიღო 892 მ. 30 კ. ამხანაგობას დარჩა 1306 მან. 56 კ. თითო წევრს ორთა შუა რიცხვით ერგო 120 მანეთამდე.

სპარსეთი

შეთქმულობის აღმოჩენა

რეშტში აღმოაჩინეს რეაქციონერების შეთქმულება. შეთქმულებს განზრახვა ჰქონდათ თურმე-სახლებისა და ბაზრისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ, არეულობა და შფოთი მოეხდინათ და ამით რუსეთის საქმეში ჩარევა გამოეწვიათ. ბევრი რეაქციონერი დაატუსაღეს რეშტში. დატუსაღებულებში ბევრი სხვაგნებური კაცი ურევია. ამ საქმეს უკვე იძიებენ. („რ“).

შორეული აღმოსავლეთი

ხარბინში.

ხარბინის ქალაქის თვით-მმართველობა, რომელშიაც უმთავრეს როლს რუსები თამაშობენ, დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი: უცხოელები გადასახადებს არ იხდიან. თვით-მმართველობამ რკინის გზის გამგეობას სთხოვა დახმარება. თუ რკინის გზის გამგეობა უარს იტყვის დახმარებაზე, მაშინ ქალაქი პირდაპირ უცხოელ კონსულებს სთხოვს დახმარებას. გერმანიის ქვეშევრდომთა გარდა, გადასახადების მიცემაზე უარი სთქვეს: საფრანგეთისა, ავსტრიისა, საბერძნეთისა და ოსმალეთის ქვეშევრდომებმა“.

უცხოეთი

ლოკაუტი გერმანიაში.

„რუს. სლოვო“-ს ბერლინელი კორესპონდენტი ბ. ტროცკი დაწვრილებით ასწერს იმ დიად ეკონომიურ ბრძოლას, რომელიც დაიწყო გერმანიაში და რომლის ამბავი მეტის მეტად მოკლედ შეგვატყობინეს დეპეშებმა. იგი სწერს:

„გერმანიაში ამ წამს გაჩაღებულია ჯერედ უნახავი ეკონომიური ომი. შენობების ამგებ მრეწველთა შეერთებულმა კავშირმა ლოკაუტი გამოუცხადა დარაზმულ მუშებს. გერმანიის იმპერიის ყველა კუთხიდან ამბავი მოდის, რომ ლოკაუტი თან და თან ვრცელდება და უმუშევართა რიცხვი თან და თან მატულობს. ეხლავე 200 ათასზე მეტი მუშაა დარჩენილი უსაქმოდ. პროვინციალური წვრილი მრეწველები, ცენტრალურ კომიტეტის ძალდატანებით, ითხოვენ მუშებს და სწყვეტენ საქმეს. ესენი ხმა-მაღლა აცხადებენ პროტესტს ლოკაუტის წინააღმდეგ, რადგან ლოკაუტი ორსავ მხარესთვის დამღუპველად მიაჩნიათ, მაგრამ მაინც იძულებულნი არიან დაემორჩილონ ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებას.

ლოკაუტის გამოცხადების აზრი გუშინ როდი დაიბადა. ორ წელიწადზე მეტია მრეწველთა პრესსა ლოკაუტს ქადაგებს. შენობის ამგებთა და არქიტექტორებს შორის ყველაზე ბეჯითად ლოკაუტს მოითხოვდა განთქმული ფინანსისტი და რეაქციონერი, მიუნხენელი ინჟენერი გელერმეიერი, მის თაოსნობით, ამ ორი წლის წინად ამშენებელთა შეერთებულ კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება წარადგინა,—სამუშაო დღეს მოვუმატოთ, 9 საათის ნაცვლად 10 საათი დავაწესოთ და დღიურ ქირის მაგივრად შემოვიღოთ ნარდი ქირაო. ასეთს გადაწყვეტილობას მრეწველები მით ასაბუთებდნენ, რომ მეტად მცირე მოგებას გვაძლევს ჩვენი საქმეებიო. რაღა თქმა უნდა, დურგლებისა, მესტოლეებისა, კერის დამხურავებისა, მეფიჩქებისა, მეპარკეტეებისა და სხვა დარაზმულ მუშების კავშირებმა ზიზღით უარჰყვეს მრეწველთა წინადადება, რომელიც ნამდვილი იერიში იყო მათს ჯიბესა და შრომაზე. მათ აშკარად განაცხადეს, რომ რაწამს მრეწველები შეეცდებიან სამუშაო ქირის დაკლებას, იმ წამსვე დიდ გაფიცვას მოვახდენთო. მრეწველები, რომლებიც იმ დროს ჯერ ცუდად იყვნენ დარაზმულნი, იძულებულნი იყვნენ დროებით ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვის შესრულებაზე.

მაგრამ ისინი მაინც მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ბოლოს და ბოლოს გასტეხდნენ მუშათა ორგანიზაციების კერპობასა და ძალას. ორ წელიწადს დაუღალავად ემზადებოდნენ მრეწველები ნამდვილ ომისთვის. გერმანიის ყველა წვრილი მოიჯარადრე, ამშენებელი, არხიტექტორი, საამშენებლო კანტორა და ბიურო ძალით ჩაითრიეს საყოველთაო საამშენებლო კავშირში და დაუმორჩილეს მის ცენტრალურ კომიტეტს. რადგან წვრილი საამშენებლო ბიუროები დამოკიდებულნი არიან მსხვილ ფირმებისგან, რომლებიც ყოველ წელს 20-30 მილიონს ატრიალებენ, ისინი, რასაკვირველია, ხმის ამოუღებლად დაემორჩილნენ ცენტრალურ კომიტეტის ყოველ დადგენილებას. და აი ამ კომიტეტმა ამას წინად ქალ. დრეზდენში გამართულ კონგრესზე წინადადება შეიტანა მუშების ორგანიზაციებს ახალი სამუშაო ფასები წარუდგინოთ, დღიურ ფასის ნაცვლად ნარდი დავაწესოთ და სამუშაო დღეს მოუმატოთო. თუმცა კონგრესის წევრთა. უმცირესობა დაიმუქრა, კავშირიდან გავალთო, ამტკიცებდა, რომ ეგეთი საქმე ძლიერ საშიშიაო და იმუდარებოდა, ერთს წელიწადს კიდევ მოვიცადოთო, მაგრამ ეს წინადადება მაინც მიიღო კონგრესმა.

საამშენებლო მრეწველობის გენერლებმა ყურიც არ დაუგდეს უმცირესობას და დაცდას არ დასთანხმდნენ იმ საბუთით, რომ მუშათა ორგანიზაციების კასსებს ფული ემატებათო, და დაადგინეს ლოკაუტი გამოვაცხადოთ, თუ მუშათა ორგანიზმციები არ დასთანხმდებიან ახალ პირობებსო:

მუშებმა, რასაკვირველია, არა თუ მარტო უარჰყვეს დრეზდენის კონგრესის მიერ დადგენილი ფასები, მათ პირიქით მოითხოვეს სამუშაო ქირის მომატება ათი პროცენტით და დღიურ ქირის დატოვება. არც ორსავ მხარის წარმომადგენელთა შუამავლობამ, არც მთავრობის მეცადინეობამ არაფერი უშველეს საქმეს და ომი გამოცხადდა.

მრეწველები დროებით სპობენ საქმეებს და ითხოვენ მუშებს. ჩრდილოეთ გერმანიაში, თუ სამხრეთში, ხმა გაკმინდეს ხე-ტყის მხერხავმა ქარხნებმა, შედგნენ აგურხანები, ცემენტისა, პარკეტის ქარხნები, შესწყდა შენობების აგება... მხოლოდ ბერლინსა ჰამბურგსა და მაგდებურგში მრეწველებს ჯერ კიდევ მოლაპარაკება აქვთ გამართული მუშებთან და იმედიცა აქვთ, რომ სუსურველად დაამთავრებენ ამ მოლაპარაკებას. ასეთი ურჩობა, რასაკვირველია, ძლიერ აჯავრებს ცენტრალურ კომიტეტს. თუ ამ დიდ ქალაქების მრეწველები მოურიგდებიან მუშებს, მაშინ ლოკაუტი სამარცხვინოდ ჩაივლის. ცენტრალური კომიტეტს ანგარიშით, ლოკაუტი უნდა მოედოს 400 ათას მუშას მთელს გერმანიაში. მუშათა ორგანიზაციებს კასებში აქვთ მხოლოდ 15 მილიონი მარკა. ცხადია, რომ ეს ფული ეყოფათ მხოლოდ ორიოდე თვეს, მერე კი მუშები დაიმშევიან და იძულებულნი იქნებიან დაჰმორჩილდნენ მრეწველებს. მაგრამ თუ ბერლინელი, ჰამბურგელი და მაგდებურგელი მრეწველები ორსავ მხარესთვის სასარგებლო პირობით მოურიგდებიან მუშებს, მაშინ უმუშევარ, დათხოვნილ მუშების შანსი ერთი ორად აიწევს. მართალია, მრეწველთა კავშირი მეტის მეტად მდიდარია და არავითარ მსხვერპლს არ მოერიდება მუშების დასამარცხებლად; მის კასაში ეხლავე მოგროვილია 30 მილიონი, შემოწირული კრუპისა და სხვა მსხვილ სამრეწველო ფირმებისა და ქარხნებისაგან საშუალო და წვრილ მრეწველთა დასახმარებლად. მაგრამ ყველა ესეც არ უზრუნველჰყოფს მის გამარჯვებას. საზოგადოებისა და პრესის თანაგრძნობა მუშების მხარესაა. მთავრობაც-კი მათ თანაუგრძნობს. შრომის სიზიზღარი ექსპლუატაცია აშფოთებს მთელს გერმანიას. ამ წამს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე—ბერლინი, ჰამბურგი და მაგდებურგი მიემხრობიან ლოკაუტს თუ არა“.

იმავ გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი იუწყება ბერლინიდან:

„ქალ. ჰამბურგის და მის მიდამოების მრეწველები მოურიგდნენ მუშებს; ამის გამო მათ უარჰყვეს ლოკაუტი“.

რუსეთი

✦ **კანონ-პროექტი სათუო დასჯის შესახებ.** სახელმწიფო საბჭოს ცენტრს და მემარჯვენებს გადაუწყვეტიათ, არ მიიღონ სათუო დასჯის შესახებ კანონ-პროექტი.

✦ **ინციდენტი.** „კასპ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: სახელმწიფო სათათბიროს კომისიაში, იმ კანონ-პროექტის განხილვის დროს, რომელითაც ტყის გაჩეხისათვის დამნაშავის სასჯელნ უნდა მოემატოს. გლეხმა-დეპუტატებმა პროტესტი განაცხადეს, კანონ-პროექტი გლეხების წინააღმდეგ არის მიმართულიო. გლეხმა—დეპუტატმა კომისიის სხდომა დემონსტრატიულად მიატოვესო.

✦ **ებრაელების აწიოკება.** სატახტო ქალაქის გაზეთებს კიევიდან ატყობინებენ: ადგილობრივმა შავრაზმელებმა ებრაელების აწიოკება დაიწყეს. დაჭრილია ბევრი ებრაელიო.

✦ **შუამდგომლობა.** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს გზათა მინისტრთან შუამდგომლობა აღუძრავთ, რკინის გზებზედ ბილეთების ფასი დაგვიკელით და წლიურად პირველი კლასის ბილეთი 100 მანეთად მოგვეცით, მეორე კლასის 80 მანეთადო. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, გზათა მინისტრს აღუთქვამს ამის განხორციელება.

✦ **ოქტომბრისტთა ფრაქციაში.** „რეჩის“ სიტყვით ოქტომბრისტთა ფრაქციიდან გასულა ორი კაცი: ვლადიმირ ლვოვი და ნეკლიუდოვი, სულ ორი წლის განმავლობაში ფრაქციიდან გასულა 37 კაცი.

✦ **საზოგადოების დახურვა.** მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ მთავრობის განკარგულებით დაიხურა უკრაინელთა საზოგადოება „პროსვიტა“. როგორც „კასპს“ კიევიდან დეპეშით ატყობინებენ. საზოგადოების დახურვა ნაყოფია სტოლიპინის უკანასკნელ ცირკულიარისა, რომელიც ეხება არა-რუსთა საზოგადოებებს. ამ ცირკულიარის შინაარსი უკვე იცის მკითხველმა.

✦ **პურიშკევიჩი.** „რეჩი“ იუწყება; სახელმწიფო სათათბიროს პრეზიდიუმმა განიხილა პურიშკევიჩის თხოვნა, პრეზიდიუმმა 25 მანეთით დამაჯარიმეთ, რადგან სათათბიროში სასამართლოს რეფორმის შესახებ კანონ-პროექტის კენჭის ყრას არ დავესწარი, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ამ დროს მე საჭირფარეშო ოთახში ვიყავი და მოწმეც მყავს, სათათბიროს მოსამსახურეო. ამიტომ გთხოვთ ჯარიმა მაპატიოთო, დასასრულ, პურიშკევიჩი სწერს: თუ მაინც და მაინც ჯარიმას არ მაპატიებთ, გთხოვთ ეს ფული „ჭეშმარიტ რუსთა კავშირს“ გაუგზავნოთ, რომ მათრახები შეიძინონ და გაამათრახონ ის ებრაელები, რომლებსაც ახალი კანონის ძალით მოსამართლეებად აირჩევენო. პრეზიდიუმის თათბირს დასწრებიან ფრაქციების წარმომადგენელნიც. სათათბიროს თავმჯდომარეს ფრაქციის წარმომადგენლებისთვის უთხოვნია, დამეხმარონ რომ ამისთანა რამეები აღარ განმეორდეს,

წერილი რედ. მიმართ

ამასთან ვადგენ რა 4 მან. და 20 კაპ. დ. ბორჯომში შეკრებილს ილია ჭავჭავაძის ფონდის სასარგებლოდ, ვთხოვ რედაქციას გადასცეს ეს ფული დანიშნულებისამებრ. სია: დ. ქიტიაშვილი—1 მან., ვას. სამსონიძე—30 კაპ., ალექს. შახპარონოვი, ნ. აკოფოვი, ს. შელიავა, დარია მოისეევისა, დარია ყაფიანისა, მარიამ მესხიძისა, ბაბო ყაფიანი, ვლ. ყაფიანი, ვლადიმირ მოისეევი, მარიამ ბაქრაძე, ლოლა გონიგაძე, ქეთევან კობახიძე, პაულინა ხუციშვილი და მ. როანი, თითომ 20 კაპ., მურადხანოვი 10 კაპ.

ვლ. ყაფიანი.

განცხადებანი

ბორჯომის ცენტრის მახლობლად, სასახლის პარკის გვერდზე,
იაფად იყიდება მიწის ნაჭერი,
ყოფილი უგანათლებულესი თავადის **ვორონცოვისა**, ზომით 15,000 ოთხკ. საჟენი. შესამჩნევი ნაწილი ადგილისა უჭირავს პარკსა და ხე-ხილის ბაღს.
ცნობების გაგება 12 აპრილამდე ტფილისში სასახლის ქ., „ვიქტორიას“ სასტუმროში კ. ე. გრიგორიევთან, ხოლო შემდეგ იალტაში, თავ. ტრუბეცკოების კანტორაში, ვინოგრადნის ქ., ს. ბუხშტაბისა. მიწის ნაჭრის დასათვალიერებლად ადგილობრივ დარაჯია. (5—1049—5)

ეძებენ მებუფეტეს,
ვისაც სურს აიღოს პირველი კლასის კაფე-ბუფეტი, მომზადებულ 5 თვალ-შენობაში ყოველ მოწყობილობით და ელექტრონის განათებით, ახლად გასახსნელ ფეხ საცურავ ტრეკზე „სვეტინგ-რინკი“. პასტეროვის ქუჩა, № 4 (მიხაილოვის პროსპექტიდან ან ველიკოკნიაზის ქუჩიდან). (3—229—3)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
საღამოთი:
ქალ. ექ. პ ს. ზილბერშაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—84)

დღესასწაულებისთვის საჩუქრები:
საათები ოქროსი და ვერცხლისა, სხვა და სხვა კოხტა ნივთები შეიძლება იყიდოთ იაფად მხოლოდ ა. **გოლდშტეინთან:** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. მიიღეთ კოსტა ვერცხლისა და ოქროს კვერცხები.
(4—ხალ.—1)

ივ. გრ. ხალათიანი
იღებს ყოველგვარ განცხადებას ადგილობრივ და სხვა ქალაქების გაზეთებისათვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს გაზეთ **„დროება“-ს კანტორაში:** დიდი ვანქის ქ., № 12. (0—11)

ქუთაისში
◀ **კიწმარაშვილის და ამხ.** ▶
თესლეულობის მაღაზიაში მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნება. (25—კვ.—25)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა
„როზა“
ტფილისი, ურბნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.
საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან. (100—ტ.—1)

რადგან უეცრად გვიხდება ტფილისიდან წასვლა,
ვყიდით სახლის ავეჯეულობას:
კრაოტებს, სკამებს, პირისაბანებს, სტოლებს, ტანისამოსის შკაფებს, კომოდებს და ტუმბუტკებს. იყიდება მთელი სასტუმროს მოწყობილება. მსურველს შეუძლიან დაათვალიეროს ნივთები.
ადრესი: ელისაბედის ქ., № 100, მეორე შესავალ კარებიდან. ბინა გუდიევისა. (3—244—1)

აბანო
ვერის დაღმართზე სახლი № 7.
აბანოში მშვენივრად მოწყობილი ნომრებია და ორი საერთო აუზი —ერთი ქალებისა და ერთი ვაჟებისათვის.
აბანო ღია არის დილის 6 საათ. 12 საათამდის.
(5—გაჟ.—5) პატივისცემით ზ. ი. აბრამაშვილი.

ადგილობრივ და სხვა ქალაქების ჟურნალ-გაზეთებისთვის განცხადების მომკრეფი აგენტი
მ. ა. გაჟონია
იღებს შეღავათიანის პირობებით ყოველ გვარ განცხადებას როგორც ადგილობრივ, ისე სხვა ქალაქის გაზეთებისთვის.
ვისაც სურს მასთან საქმე დაიჭიროს, უნდა მიმართოს ამ ადრესით:
(6—4) **ტფილისი, ველიკოკნიაზის ქ., № 40. ტელეფონი № 215.**

◀ კახური ღვინო ▶
„მელაანი“
თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იყიდება ყველგან.
(4—გაჟ—3)

◀ სრული პასუხის მგებლობა ▶
მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე
„ფეხსაცმელების სახელოსნო“
გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით ხუფთად, მტკიცედ და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის ნიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას.
ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა N 28.
პატივისცემით ივ. სვ. ბერძნიშვილი.
◀ სრული პასუხის მგებლობა ▶ (25—ნ.—19)

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.